

ივერი

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 — 6	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაურა.

გაზეთის დასაყვებად და კერძო განცხადებებთან დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბეზუოვის ქუჩაზე, სახლი № 9, შვედოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიტოვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც მსოფლიო სუთი მანათი აქვსთ შემოტანილი გაზეთის გასაყენად მოკლეთ 1 მანის. ვინც ერთ მანათს კიდევ შემოიტანს ორის თვის განმავლობაში კიდევ მიუგებთ გაზეთი. და შემოსტანი ფული წლის დამლევამდე 4—მანათი—და იქნება.

ქუთაისის საადგილო-მამულო ბანკის განცხადებაში სოფლების მამულების შესახებ დაბეჭდილია, რომ გაჭრობა

11 ივლისს იქნება, დაბეჭდილი უნდა იყოს: 11 ივნისს.

ტფილისი, 12 მაისს

თვით-მოქმედება, თავით თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა — ისეთი თვისება ადამიანისათვის, ურომლისოდაც იგი უფრო მონაა, ვიდრე ბატონი. არც ცალკე კაცს, არც საზოგადოებას ერთად უამთვისებოდ არ ძალუქს სთქვას: მე ვარ და ვცხოვრობო. უამთვისებოდ ერთიც და მეორეც სათრეველსა და არა თვითონ მავალი. კაცი, თუ საზოგადოება, რომელიც თვით არ მოქმედებს, თვით

საკუთარის თაოსნობით ჭირს არ ებძვის, მეტ-ნაკლებობისაგან დასწნას თვით არ ეტანება, თავის სვებედსა თვითონ არ იურვეს, — იგი ტვირთია, იგი მეტი ბარგია ამ ქვენიერობაზედ. კაცს, თუ საზოგადოებას არა ეძლევა-რა ამ წუთის სოფელში უბრძოლველად, გაურჯულად. მართო იგი შრომა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც, ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა და ძალ-ღონე კიდევ — საკუთარი მარჯვენა. არამც თუ საზოგადო საქმეში, კერძო კაცის ცალკე ცხოვრებასაც რომ დაუკვირდეთ, ვნახავთ რომ არსებობისათვის ბრძოლისა და ჭიდილში მართო იგია გამარჯვებული, ვინც თვით არის საქმის თაოსანი, საქმის ამჩენი და საქმის მოქმედიც; ვინც თავის თავზეა მართო დანდობილი და თავის საკუთარს მხნობას და გარჯას ჰსახავს წყაროდ თავისის ცხოვრების განკარგებისა და წინ წაწვივსად.

ეს თვით-მოქმედება, ეს თავით თვისით საქმის აჩენა, გაძღოლა და გატანა, რაკი ერთხელ ადურთოვანდება და დაიძვრის, რაკი ერთხელ შეებმის ხოლომე ცხოვრების უდელში, მისი გამარჯვება, ძლევა-მოსილობით სვლა უცქველია. მართალია, ეს თვით-მოქმედება ხან-დის-ხან ათას ნაირ, მოსალოდნელ და მოულოდნელ მიზეზთაგან შეფერხდება ხოლომე,

მაგრამ ბოლოს კი მაინც თავისას გაიტანს და ამაშია მისი სიკეთე და ღირსებაცა. საითაც უნდა მიიხედოთ, რომელი ქვეყანაც გინდათ გასინჯოთ ყველგან ერთს უცილობელს ჭეშმარიტებას დაინახავთ: იგი ქვეყანა უფრო ბედნიერი, უფრო ღონიერი სულითა და ხორცით, რომელსაც თვით-მოქმედება გაძლიერებული აქვს და უოველის მოძრაობის სათავედ შეჰქმნია. პირიქით, საცა ვც თვით-მოქმედება გაღვიძებული არ არის, იქ კერძო კაციც ცალკე და საზოგადოებასაც საერთოდ ფერ-მკრთალია, უღონო და ცოცხალ-მკვდარი. თვით-მოქმედებას არამც თუ მართო პირ-და-პირი სარგებლობა მოაქვს ხორცისათვის, ამასთან იგი იმისთანა სკოდაც არის, საცა იწურთება უოველი მოზარდი, იზრდება ახალი თაობა, საცა მოზარდისა, ახლის თაობის ძალ-ღონეს ნაჭედის სიმტკიცე და სიმგრე ეძლევა, როგორც რკინას სამჭედურში. ამ მხრით თვით-მოქმედება ცალკე კაცისა, თუ საზოგადოებისა უბერო რამ არის და ვერაფერი ვერ ადგამს, მაგიერობას ვერაფერი ვერ გაუწევს კაცს არსად და არასდროს.

ერთი ამისთანა ნაყოფი თვით-მოქმედებისა ტფილისისა და ქუთაისის ბანკებია და მათის შემწეობით დაარსებული სათავად-აზნაურო სკოლები. ივინი ჩვენის საკუ-

თარის თაოსნობით არიან დაარსებული და ჩვენის საკუთარის ძალ-ღონით წარმართულნი. იქნება ბევრმა ნამეტანობა და გადამეტება შეგვწამოს, მაგრამ ჩვენ კი მაინც ამას ვიტყვი, რომ ბანკებსაც და მათის მეხნებით არსებულ სკოლებსაც დიდი სასიკეთო მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის იმ მხრით, რომ ივინი ჩვენის თვით-მოქმედების შვილი არიან, ჩვენის თვით-მოქმედების ძუძუთი იზრდებიან და იკვებებიან. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მნიშვნელობა მათი ბევრს ჩვენგანს გულსა და გონებაში ვერ მოუთავსებია, ვერ მოუნელებია და ამიტომაც არა ერთხელ რისხვითა და წყრომით გამოღამქრებულან ბანკებსა და მათს მნიშვნელობაზედ, არამც თუ ჩვენი დაბადის-ღობის პუბლიცისტები, არამედ მოღვექსნიც კი და მათ შორის სახელგანთქმულნიც არ ერიდებიან ბანკების ავად-სენებას და სახელის გატეხას. რისთვის და რად? სწორედ მოგახსენოთ, ბევრჯელ დაუკვირვებდართ ამისთანა ამბავს და წყრომისა და რისხვის მიზეზი ვერ გვიპოვია, იმისთანა მიზეზი, რომელიც დამჯდარს და ნაფიქრს მსჯელობას ემსახურება.

ახალი ამბავი

* * ჩვენ შევიტყეთ, რომ კვირას 18 მაისს, საღამოს, არწრუნისეულ ბაღში (ბანკის ტერასაზე) მოხდება საგანგებო კრება ქართულ დრამატულ საზოგადოების წევრთა. კრებზე განიხილება საზოგადოების მმართველობის აზრი დრამატულ დასის შედგენაზედ ზამთრისთვის. სასურველია, რომ ამ სწლომას დაესწოროს ყველა ქართულის ცენის მოყვარული. ქართული თეატრი ეწლა იმ მდგომარეობაშია, რომ არ შეიძლება არ ვისურვოთ იმის განახლება, იმის გაუკეთესობა საზოგადოების საშუალებით, მხოლოდ საჭიროა კი ჯერ დაფიქრდეთ, აქვს თუ არა რამე ღონისძიება დრამატულ საზოგადოებას, რომ ეს მძიმე ტვირთი იკისროს.

* * შაბათს ღამეს, მიხეილის ქუჩაზე, საათსაზოვის სახლებში ცეცხლი გაჩნდა და სულ ერთიანად დაიწვა წყლის-პირას წისქვილი. ეს წისქვილი დაწვეული ყოფილა «სალამანდრას» საზოგადოებაში 44,530 მ. ცეცხლი გაჩნდა ღამის 12 1/2 საათზედ; ვიდრე ხალხი მოგროვდებოდა, წისქვილი თითქმის დაიწვა კიდევ. როგორც ამბობენ, ცეცხლი გაჩენილა მესამე სართულის პატარა ოთახიდან, სადაც ღამპარი ნთებულა. ხუთივე საფეხვი დასქდა და წერილ-წერილად დაიძვრა, წისქვილში მომუშავეთ

ფელეტონი

სატყუო სამე ჩაწერი

ჩვენის გაზეთის მკითხველებმა იციან, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს ტყეთა მართვა სხვაფრივ შეიცვალოს კავკასიაში. ადგილობრივმა მწერლობამ ყურადღება მიაქცია ამ ამბავს და «ივერიამ» ცალკე წერილი უძღვნა სატყუო საქმეს*). რადგანაც ეს საგანი ღირს-შესანიშნავია და კერძოდ ქართველებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ამისთვის საგნის განხილვას ხელ-მეორედ უნდა დავუბრუნდეთ.

როგორც ჰსჩანს, სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ჰსურს სატყუო მარჯების და ტყის მცველთა რიცხვი შესცვალოს, მოხელეებს ჯამაგირი და საუღლუფო მოუმატოს... წინანდელზედ 17 მაზრა მეტი იქნება, ხოლო ტყის მცველთა რიცხვს მოემატება 239 კაცი. თუ სამინისტროს პროექტი მიღებულ იქნა, სატყუო მართვის შეცვლა კავკასიაში და კერძოდ საქართველოში აწინდელის სატყუო მოხელეობის შეცვლა იქნება, სხვა არაფერი. ამ გარი ცვლილება

უშველის საქმეს, თუ არა — მომავალი გვიჩვენებს. ხოლო ეწლა შეენიშნავთ, რომ ჯერ-ჯერობით სხვა-გვარი ცვლილება სამინისტროს შეუძლებელ და უღროო საქმედ დაუნახავს. ამის პირველი საბუთი უნდა მოიძებნოს იმ საზოგადო ბიუროკრატებურს შეხედულებაში, რომელსაც ჰსწამს, რომ ყველა საზოგადოებრივის საქმის ხერიაანად მართვა მოხელეების აუკარგანობაზედ არის დამოკიდებული და თუ სატყუო საქმე ჩვენში კარგად ვერ მიდის, ეს იმიტომ, რომ მოხელეები ცოტანი არიან, ჯამაგირი საქმა არა აქვთ და თანამდებობას ვერაფრად ვერ ასრულებენო. მეორედ — სხვა-გვარს ცვლილებას ეწინააღმდეგება თვით საქმის გარემოება. აწინდელის სატყუო წესდების სიტყვით, ტყეთა მართვა კავკასიაში და საქართველოში სახელმწიფო ქონებათა გამგეობის საზოგადო კანონს არ უნდა ექვემდებარებოდეს, რადგანაც სატყუო საქმე ჯერ განუწყობელია და განუწყვეელი. კანონი ამბობს, რომ საქმე ჯერ უნდა ცნობილ იქნესო, ადგილობრივი ვითარება და ხალხის მოთხოვნილებანი უნდა გამოიკლიონო და მერე შეიძლება საზოგადო წესდების დაარსებაცო (СВ. Зак. т. VIII, ч. 1, ст. 407, 408). ამ აზრს წუნს ვერაინ დასდებს და თუ ჩვენ ზემოდ ვსთქვით, «სხვა-გვარი

ცვლილება სამინისტროს შეუძლებელ და უღროო საქმედ დაუნახავს», სწორედ კანონის მიხედვითა ვსთქვით. მართალიც არის. ჩვენში ჯერ სახელმწიფო ტყეები არ არიან გამოჯნულნი არც შინაგანად და არც გარეგანად, წესი სატყუო მეურნეობისა არ არის გამოკლეული, ადგილობრივ მკვიდრთა განსაკუთრებული მდგომარეობა ცოტად არის ცნობილი და ამისათვის ძირითადი ცვლილება სატყუო-გამგეობისა მოუხერხებელია. თუმცა ყოველივე ეს ასეა, მაგრამ სატყუო გამგეობა ჩვენში მაინც ისევ სატყუო წეს-დებულებას ემორჩილება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ადგილობრივს სახელმწიფო-ქონებათა გამგეობასაც თავისი საკუთარი უფლება აქვს (т. VIII, ч. 1, ст. 409). რადგანაც გარეგანი განწყობილება ამ გამგეობისა საქართველოში ისეთივეა, როგორც მთელს იმპერიაში (ст. 103, 104), ამისათვის ორიოდ სიტყვა ამ გარეგანს განწყობილებაზედ მეტი არ იქნება. რადგანაც თვით კანონი ბანებს, რომ ჯერ უნდა ცნობილ იქნას ადგილობრივი ვითარება და აქაურთა მკვიდრთა მოთხოვნილებანი და მერე შეიძლება საზოგადო წესდების დაარსებაცო, — ჩვენც, ჩვენის შეძლებისამებრ, შევეცდებით ვც ადგილობრივი ვითარება და მკვიდრთა მოთხოვნილება აენუს-

ნობ აქ და გამოვიკლივით და მით ცოტად თუ ბევრად ხელი მოეჭმართოთ კანონ-მდებლის სურვილსა. არსებითი ხასიათი აწინდელის რუსულის სატყუო წეს-დებულებისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი წეს-დებულება ბიუროკრატებურად არის მოწყობილი და თითონ სახელმწიფო განაგებს სახელმწიფო ტყეების საქმეს, — საზოგადოებას, ადგილობრივ მკვიდრთა არა ვითარო მონაწილეობა არა აქვთ ამ საქმეში. სატყუო წესდებულება და მოხელეობა ზემოდამ მართავს საქმეს და ქვემოდ მხოლოდ მორჩილება და ბრძანების აღსრულება სუფევს (ст. 17—27). ვერც წოდებული სატყუო დეპარტამენტი თვისის ღირეკტორით და ზედა-მხედველით, მეტყვეთა წუობა (корпусъ лѣсныхъ) შეადგენენ უპირველესს დაწესებულებას და მოხელეობას (ст. 28—32) და მათ კიდევ თავს ადგია სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო. ტყის მოშენება, სატყუო მეურნეობა, ტყეთა დაცვა და მხედველობა, ერთის სიტყვით, ყოველივე სატყუო საქმე მმართველობის მოხელეებს ეკითხვის და საყურადღებო კიდევ ის არის, რომ წმირად საზოგადო კანონი კერძო პირთა და საზოგადოებათა სატყუო გამგეობაშიც ერევა. ამ გვარი მოწყობილება ახალს არაფერს წარმოადგენს, იგი სრულიად ეთანა-

*) იხ. «ივერი» 1886 წ., № 23.

მხოლოდ მაშინ გაიგეს ცეცხლის გაჩენა, როდესაც ცეცხლმა იმ ოთახამდე მიახწია, სადა მათ ეძინათ და ბოლით სულ შეგუბებულნი გამოფხიზლდნენ, დაფეთიანებულბმა ფანჯარას მიჰმართეს და ისე გადაიჩინეს თავი, თორემ სულ ერთიანად შიგ ამოიწოდნენ. ამ დროს წისკვილის პატრონი საათსაზოვი ფოთში ყოფილიყო. ეს წისკვილი ტფილისის ერთი საუკეთესოა წისკვილთაგანი იყო.

* * * როგორცა გვეწერენ, თიანეთის მაზრის, სოფ. მატანში აღმოჩენილა ავი სენი. ეს პირველი მაგალითი არ არის თიანეთის მაზრაში და მით უფრო სამწუხაროა, რომ ეს მაზრა განთქმულია თავისი ძველებურის ცხოვრების სიწმინდით. პოლიციამ ყურადღება მიაქცია ამ სენს და ადგილობრივი ფერწალი გაგზავნა მატანში ავი-სენის მოსასპობლად.

* * * იქიდანვე გვეწერენ, ერწო-თიანეთში ხშირის წვიმების გამო მოსავლის იმედი ისეთი არა აქვთ, როგორისაც გაზაფხულის დამდგმა ჰქონდათ.

* * * ფშვიღები გვეწერენ, რომ არაგვეზ ხიდი ჩაუტყდა ერთს სომეხს და დარჩიოვო. ამას გარდა, ჩვენ მხარეს ოთხჯერ სეტყვა იყო. მოსავალს კარგი პირი უჩანსო.

* * * ქუთაისიდან მოუწერიათ: 5 მაისს დილით ადრე ცეცხლი გაუჩნდა იმ სახლს, რომელშიაც არის მოთავსებული ქუთაისის მომრიგებელი სასამართლო. ცეცხლი უცრად მოედო მთელს სახლს. დაიწვა კანცელიარია და მასთან მრავალი საქმეებია.

* * * ზოგიერთა ჩვენის ცხენის რკინის-გზის კონდუქტორების საქციელი სწორედ რომ წრეს გადასულიაო, სწერს «ახ. მიმოხ.» 9 მაისს, საღამოს რვა საათზედ, ვილაც ბ-ნი ს. ჩაჯდა ცხენის რკინის-გზის მატარებელში იმ მიმართულებით, რომელი-საც იმის დროს (XVIII საუკ.) პირველი ადგილი ეკიზა ევროპიულს მეცნიერებაში. ჩვენ ვამბობთ ეგრედ წოდებულს პოლიციურს მიმართულებებზედ (полицейское государство, polizeistaat). ხოლო ეს მიმართულება, სხვათა შორის, დიდს ყურადღებას აქცევდა ხალხის მოწინავეს, სკდლობდა სხვა-და-სხვა ღონისძიება აღმოეჩინა ხალხის გასამრავლებლად. ევროპეთ, ვახტანგსაც ეს პოლიციური მიმართულება და ხალხის გამრავლება უნდა ჰქონოდა აზრად, როცა ლაპარაკობს სატყეო საქმეზედ: „მთა და შვემა ამისთვის არ დაეკირვის, რომ თუ ბარის კაცი სახლს არ აშენებს და შვემით არ დარჩებიან, ქვეყანაზედ შენობა მოაკლდებიან“ (იქვე მუხ. რომბ), ე. ი. ტყის და შვემის ხმარება რომ დაუშალოთ, ხალხი აღარ გამრავლდებოდა... (რუსულს თარგმანში — уменьшится население).

მკითხველი თითონაც ჰხედავს, რომ ჩვენი ძველი კანონ-მდებლობა სკდება, როცა ხალხის გამრავლებას ამყარებს ტყის და შვემის თავისუფალს ხმარებზედ; არა, ხალხის გამრავლების მიზეზი ბევრი სხვაა, მაგრამ აქ ხომ ეს არ არის საჭირო, — შესანიშნავი ისაა, რომ ჩვენი კანონ-მდებლობა ტყის ხმარებას არავის არ უჩი-

ბელში სასტუმრო „გრანდ-ოტელითან“ და მაშინვე (როგორც გვარწმუნებდა) ფული მისცა კონდუქტორს ერენის მეინამდე წასვლისათვის. კონდუქტორმა № 5 ხელ-მოგორედ დაუწყო ფულის თხოვნა და როდესაც ის არ დათანხმდა მეორედ გადაეხადა, კონდუქტორმა ჰქრა ხელი და მატარებელიდან გადმოვადო: საბრალოდ გაქანებულის მატარებელიდან დედა-მამაზე ბარჯანი მოილოო. ამ საქმეში პოლიციაც ჩაერიაო.

* * * გაზ. «ახ. მიმოხ.» სწერს, რომ მატარებელი, რომელიც 9 მაისს საღამოს ბათუმიდან ტფილისში მოდიოდა, რკინის-გზის სადგურთ გერანსა და დაღმაშელის შუა მსათით დადგინაო. მიზეზი ის იყო, რომ ამ ადგილებში რკინის-გზის ლიანდაგი წვიმას დაეზიანებინა და შეაკეთესო.

* * * გაზ. «კასპში» სწერენ, რომ ამ წამად აქ ბაქოში სპარსეთიდან შეუწყვეტლად მოდის ხორბალიო. ამ უკანასკნელ ორ-სამ დღეში თითქმის 50,000 ფუთამდე მოუტანიათ ჯერაო. ეს ხორბალი სულ სამზღვარ-გარეთ იგზავნებაო. ამას წინად ერთმა ბაქოელმა სპარსეთში 60,000 ფუთი ხორბალი იყიდა და სამზღვარ-გარეთა ჰგზავნის გასასყიდლადო.

* * * 4 მაისს რკინის-გზის სადგურთ კიურდამირსა და ჰავირს შორის დაუტერიათ 12 წლის ბიჭი, რომელიც ლიანდაგს ბურღებს აძრობდა თურმე. ორ-სამ ალავას ამოეძრა კიდევ ბურღები, როდესაც რკინის-გზის მოსამსახურე ზედ მისწრობია და დაუტერია (გაზ. «კავკასი»).

* * * 11 მაისს, პოლიციის I განყოფილებაში, ოღონისკის ქუჩაზედ მიუგდია ვილაც ყმაწვილი-ქალი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, სულ ერთის ვეირის დაბადებული იყო. ყმაწვილი საბავიო ინსტიტუტშია გაგზავნილი.

* * * 11 მაისს, პოლიციის I განყოფი-

ლებს, უარ-ჰყოფს ყოველ-გვარს სატყეო ზომას, მხოლოდ შემდეგის პირობით: თუ მთის პატრონი, ერთი სანადირო ალავი ყოჩაღად ჰქონდეს, იქ არ მოაქრეინოს. რადგანაც კანონი სახელმწიფო ტყეს ასე უტყუროდა, ამისათვის მან არც ტყის მოპარევი იცის იმ სახით და ფორმით, როგორც აწინდელს სატყეო წეს-დებულებებში ვაჯულობთ. «საზღაური» ანუ ჯარიმა დადებული იყო იმ დამნაშავესათვის, ვინც სხვის კაცისაგან მოქრილს, დამზადებულს ხეს პატრონის შეუტყობლად წაიღებდა (მუხ. სმხ). საბუთი ცხადია: მოჭრას, და-მჭადებს შრომა უნდა და შეუტყობ-ღობა კიდევ ქურდობის ერთი ელემენტაგანია. ეს თავისებური შეხედულობა მოჭრადის და დამზადებუ-ღობს ხის წაღებაზედ ლოგიკური და-სკვნა იყო კანონ-მდებლის საზოგადო-აზრისა ტყის დანიშნულობაზედ. რაკი კანონ-მდებელმა ერთხელ იცნო ტყე საერთო საკუთრებად, უნდა უარ-ყო-ხის მოჭრა ტყეში შეუტყობლად, ქურდულად და კიდევ უარ ჰყო. მეორედ დასკვნა საზოგადო აზრისა ისევ თავისებურად გამოიხატა ჩვენს კანონში. — კანონმა უარ-ჰყო ეგრედ წოდებული ტყის გაკაფვა, ტყის გაჩეხა (порубка), ის იურიდიული მოვლენა, რომელიც შეედაც აწინდელი სატყეო წესდება ასე ვრცლად ლაპარაკობს

ლევაში, ვერაზედ დაიქცა აგერანა იმის გამო, რომ აგერები რიგზე არ იყო შეწყობილი და ცეცხლიც მეტის-მეტად გაჩაღებინათ. ნანგრევს ქვეშ მოჰყვა ტფილისის მცხოვრებელი ზაქარია შავდიაშვილი, რომლის გვამიც ნათესავეს გარდაეცა დასამარ-ხავად.

* * * 11 მაისს, პოლიციის მე-10 განყოფილებაში, პოლიციის მოხელემ კაპრანოვი დაიჭირა ტფილისის მცხოვრებელი ალექსანდრე ვარონი სხვა-და-სხვა გვარის ნივთებით, რომელიც 9 განყოფ. მცხოვრებელ გუბერნიის სერგუტარის სპირიდონ სიმონოვის სადგომიდან იყო მოპარული.

* * * შხაზუნა წვიმამ, რომელიც 11 მაისს მოვიდა, ზევს ადგილას ქალაქში გორე-ბიდამ ქვიშა ჩამოიტანა და ალაგ-ალაგ კიდევ ნივთებამა ოხრილები გააგვთ.

დამაკვირდი!

ერის სიდიდის საწყისი დიტერატურა.

მცონარი კაცი ჭივანგავს თავის სიტონს, შრომის მოყვარე კი სხარ-გავს.

კაცის გაბაზრება — თვისებაა სულელისა, პირ-ფერობა თვისებაა მონისა.

გაყოფის ღვინი მსწრაფნა ვითად მოაგოს მუხითა?

ჩაგლილი წყალი ვინ სახა ამონაბრუნს ებნითა? (მეფე გიორგი VI)

კაცმა ჭრქა: თქმულა ბრძენთაგან, — საწუთრო კაცს არ ინდობსო:

ნუ მოინდომებ სამოყვროდ, არც გიმძობს, არცა გიდაბნობ, თავს მოგანსვენებს სიწმინდით, ძაღლივით არა წმინდობსო.

დემეტო, ვინ მისწავლეს შენგან ქმნილს, მის ფერ-რთავლეს შეგებეს!...

სინაქსის აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰმადავ ცხოვრებას!

(თ. გ. ორბელიანი)

დაბა რ სოფელი

(მოწერილი ამავე)

რაზა, 1 მაისს. 1881—1882 წელთ გვალვამ და ამასთან სეტყვამაც ისე და-ღარბა რაჭის მუშა ხალხი, რომ დღე-საც ვერ დაუსწევია თავი მაშინ აღებულ ვალეზისაგან.

1882 წელს იშვიათად მოიქნებოდა მთელს რაჭაში ისეთი გლეხი, რომელსაც არა თუ მრთელი წლის, 3—4 თვის სახრდო ჰქონდა. ამის გამო გლეხი იძულებული იყო აეღო ვალი მუცა, მან-თხე მანათი სარგებელი და წასულ-ყო სიმიდის სუადალად ქუთაისისა ან კავკასიანს. აქვს ათას ნაირი წვალება და დაბრკოლება უნდა გამოეყენა: ვისაც თავის საკუთარი ცხენები ჰქვდა კიდევ კარ-გი, ვისაც არა—ათს შუურს რომ ფუთს სიმიდში აძლევდა, სამი აზაზი მოტანს უჭკვლევად. ეს კიდევ არაფერი, რადგან-რაც რაჭაში საზოგადოდ გლახს გლეხი და ადგილ-ადგილ ისე გაფუჭდება ხოლ-ქი, რომ უფლად მოუხერხებელი არის საზაღანანმა ცხენმა გაიაროს, სარდაც-ს გლეხებს რამდენსამე მანძილზე უზრგოთ სატარებლად უნდებოდათ სიმიდის ტომებია. ასეც მომხდარა სიმიდ, რომ საზაღანის ცხენებმა კიდევ უკადავრ-ნილან და გულ-სულ-დაკრეფილნი გლეხ-ები დაბრუნებულან თავიანთ სახლში ხელ-ცარელებია.

მე მოვიყვან ზოგიერთს ცხენებს შე-სასეზრეკელის გლეხების ვალეზისა, სა-დავანც, ცოტაც არის, მკითხველი შე-ნიშნავს რომ 1881 წლიდან ოთხის წლის განმავლობაში ხალხის კვანძი-ური მდგომარეობა თან-და-თან უკან მი-დიოდა. (რაჭაში 60,000 მცხოვრები ითულება). რაჭაში ორი პრისტიკა სასამართლო-სი, რომელთაც მინდობილი აქვსთ ვალე-ბი სასამართლოს გარდაწვევითაგან მ-ლით გადასაღვიან, რადგანაც მო-ვლეები ნუბით არ ისდიან, ამათი წლი-ური ანგარიშებიდან ჰსხანს, რომ შემო-

ხველი იფიქრებს, რომ თუ კანონი არას ამბობს ტყის გაკაფვზედ, ტყი-დამ შვემის მოპარუზედ და სხვა ამ გვარზედ, ეს ალბად იმიტომ, რომ ერთი კანონმა არ იცის ტყის საკუ-თრება და თვით ტყე ისეთ საგნად მიაჩნია, რომელიც იურიდიულად არ განიმარტებოა. მაგრამ ამ ნაირი აზრი საფუძვლიანი როდია. პირველად, რომ ჩვენს კანონს შემუშავებული აქვს საზოგადო ცნება საკუთრებისა, მეო-რედ—ტყის შესახებ კანონიც აღი-არებს საკუთრებას და რომ ეს ასეა, სჩანს, სხვათა-შორის, იქილამაც, რომ სამნის მოგლეჯისათვის კანონი მომ-გლეჯს ხელის მოჭრას უჭადის (მუხ. სმხ); იხილე ეგრეთვე მუხ. სმ. სიგლის წართმევაზედ). არა, ჩვენმა კანონმა იცის ტყის საკუთრება, მაგრამ ეს სა-კუთრება თავისებურია, ხალხის საკი-როვებზედ დამყარებული და მასთან შეთანაბრებული. ჩვენის აზრით, ზე-მოდ ნაჩვენების მიმართულების გარ-და, ორი უმთავრესი გარემოება ხელს უწყობდა ამ მართლაც და საყურად-ღებო მოვლენას. ჯერ ერთი ესა, რომ საქართველოში ტყეები ბლო-მად იყო და თვით ჩვენი მოსისხლე მტრები საქართველოს „მთა-ტყის ქვე-ყანას“ უწოდებდნენ, ამის გამო ხში-რად ვერა ჰმდებდნენ შემოსევას... და ქართველს თუ რამე უნდა აქვს, იმის დაზოგვა ხომ არ იცის... მეორე ისა,

სულით სისრულეში მოსაყვანად აღსასრუ-ლებელი იურისტები:

- 1) 1881 წელს 89,113 მანათისა.
- 2) 1882 — 103,268 მ.
- 3) 1883 — 130,061 მ
- 4) 1884 — 140,061 მ
- 5) 1885 — 108,700 მ.

ამ ანგარიშებზედგან შეიტყუება რიცხვი მხოლოდ იმ ვალეზისა, რომელიც პრის-ტიკების ძალ-დატანებით გარდაუსდგინე-ბათი. მასთანავე იმ ვალეზის რიცხვი, რომელზედაც არც სახივარი, არც პრის-ტიკი არ დასწირვებოთ იფლას ზატრ-სკეს, ერთი ათად თუ არა, ერთ-სოთად მეტი მინდ უნდა იყოს.

ერთი უმთავრესი სასასრი ჩვენის კვო-ნომიურის მდგომარეობის განკარგებისა არის კარგი ტყე.

როგორცა სჩანს, ამ ბოლო დროს მთავრობამც ვერცხანი ყურადღება მიაქ-ცია რაჭის ტყეს. ამ დღეებში ორი ინჟი-სკერი მოვიდა და ამირებენ ივრისიდან „ოკეთას სამსკდრო გზის“ შეკეთებას. ეს გზა, რომელიც აერთებს ვლადიკავკ-ასს მახრას ქუთაისის გუბერნიისათნ და მოდის შუაგულს რაჭაზე, უნდა გავ-ნიერდეს და გაკავდეს, ამას წინედ ვა-ცნობე მკითხველებს, რომ მისისთვის ქუთაისიდან ოსმდის ფოსტის გამარ-თავს ველთ მუქში, მეგრამ, როგორც ზ. მოსსენსებულის ინჟინერების სიტყვები-დან სჩანს, სანამ გზა არ გაკანიერდება, არც ფოსტა გაიმართება.

ფოსტა და ტელეგრაფი — ეს არის სხლა პირველი სანატრელი საქმე რაჭისთვის.

წინა წერილშიც ვსთქვი, რომ უმეტე-სი საწალი რაჭის მცხოვრებლებისა სხვა-და-სხვა კავკასიის ქადაგებებს და სოფ-ლებში დაბრება საზრდოს მოსაზოვლად; რდა თქმა უნდა, ამისთანა ხალხისთვის მეტის-მეტად საჭიროა ფოსტა და ტე-ლეგრაფი. სწინად მოხდეს ხოლმე, რომ რაჭაელს გლეხს იმისთანა დროს მოს-თხოვენ რამე გარდასახად, რომ გრო-ში არა ჰქონდეს ჯიბეში, მაშინ ამ სი-ტყვებით სთხოვს მოსკლეს: „შენი მუხ-ლების ჭირში, ორი კვირის ვადა მომე-

რომ საქართველოში განსაკუთრებულ-მა ეკონომიურმა წეს-წყობილებამ შექმნა და აღლორძინა ეგრედ წოდე-ბული სახსო ბუნებრივი მეურნეობა. ჩვენმა სახელმწიფომ ნაკლებად იცო-და ფულბერივი მეურნეობა; ხაზინის სიმდიდრეს უფრო მამულის შემოსა-ვალი შეადგენდა და ამისათვის სახელ-მწიფოს დიდი ყურადღება ჰქონდა მიტყეული იმაზედ, რაც ბუნებრივს სიმდიდრეს ჰზადავს; მიწათ-მოქმედება, პირუტყვით მოშენება და სხვა ამ გე-რი წარმოება — აი რას უფრო ესარ-ჩლებოდა ჩვენი ძველი სახელმწიფო მეურნეობა, — ბალახი კაცს ამიტომ არ დაეკირვის, რომ ხელმწიფეს ცხე-რის საბალახე ეძლევის და ძროხის ნახრის თავი... „მთა და შვემა ამი-სათვის, რომ... ხელმწიფეს ლაშქარ-ნადირობა დაკლდების“, „სადაც ხელ-მწიფე წყლისა რუს გაიტანს... პუ-რის მოსავლისათვის იქს, რომ კო-დის პური არ დაკლდეს“ და სხე. (მუხ. რომ-რობ), ხოლო სადაც სა-ხსო მეურნეობა ბუნებრივია და თვით ხალხის ეკონომიური ცხოვრება მო-შორებულია აწინდელს ფულბერივს სიმდიდრეს, იქ სახსო საკუთრება-საც, მიწა-წყალს, მთას და ბარს გან-საკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენში ტყესაც და კიდევ იმიტომ კ-ნონმა სახსო ტყე თუმცა სახელმწი-

ცო, ტფილისში შვილი მესვეს სარხოს საშობრად გავსაწილო, წაგაღ, გამოვართმე ფულსა და მოვართმე... 10—20 მან. გულისთვის რაჭადგან ტფილისში მიდის გლეხი. ფასტა ან ტფილისში რომ იყოს რაჭაში გამართული, მაშინ ერთის თუმის გულისთვის ამ სიშორეს წასვლა აღარ დასჭირდება რაჭველს.

არც ერთი კვირა ისე არ გაივლის, ამ სიტყვების დაწერას 4—5 ფურცლიანი ან უბრალო წერილები ამ მოუფიქრეს სხვა-სხვა განცხადების გარდასცემად. მაგრამ საქმე ის არის, საიდგან და რა წესით მოდის რაჭაში წერილები. აქედან კვირის ამ ორ კვირის ერთჯერადი ქეთისში იგზავნება მარხის უფროსის განკარგულებით ცხენო-სანი კაცი, რომელიც უნდა მივიდეს ქეთისის ფასტის კანტონში და მიიღოს წერილები და სხვა, რაც რაჭველის სასელზე იქნება ფასტით მოსული. თუ ან ფული, ან სანაგებო საკანონო წერილები იქნება მოსული, ამ შემთხვევაში, გავსაწილოს კაცს მოსტყუენ უწყებს ადრესატის სასელზე. სახამ უწყებს მიიღებდეს ბატონი, კვირდობას დაწერი-ნებდეს და სელ-მოკრეფ გავსაწილოს ქეთისში, უგანასწავლი ერთი თვე გავის. ეს კიდევ არაფერი: უკვლავ უფროსი საქმისათვის ის არის, რომ მარხის უფროსის გავსაწილო კაცი ვალდებული არ არის, რომ კვირის განკარგულებით დარჩები მიიღოს; ამისი ვალდებულება მოიხდის მხოლოდ ოფიციალური მიწერ-მოწერის წადებ-წამოღება.

გისურვებთ სულითა და გულით, რომ მალე გამართონ რაჭაში საფასტო გზა.

23 აბრელს ვიდრე მოხდა რაჭაში ერთი სახიზნარი საქმე.

სოფ. კვამლითადაც მოდიოდა თავის სახლში აზნაური ვლ. ჯ., როგორც ამბობენ, უფროდ მიქნარვან უგანადგან სამი თუ ოთხი გლეხი ჯოს. ესტეიან, დაუციათ მიწაზე და ერთობ მიიმედ გაუ-ლასკით: თავი-ბირი და ტანი სულ და-ღურჯულები აქვს და გასაგებელი. რადესაც ნამეტანის ცემისაგან გული შესწუსებია ჯ—მეს, გლეხებს უთქვამთ, სწო-

ფოს საკუთრებად იცნო, მაგრამ ისიც არ დაივიწყა, რომ მხედრე ყველას დაუბრკოლებლად უნდა მიუწვდებოდეს... ასეთი შეხედულება მიუცილებელი შედეგი იყო განსაკუთრებული სახისა მეურნეობისა, ხალხის ეკონომიურის ცხოვრების მიმდინარეობისა...

მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს ეს შეხედულება ჩვენის კანონმდებლობის იმიტომ, რომ ამ შეხედულებას აქამომდე ჩვენი მდამოხალხი მტკიცედ აღიარებს, თავს არ ანებებს და უცილობელ კემარტიტებად მიანიხი. სულ სხვა შეხედულებისაა აწინდელი სატყეო წეს-დებულება. ეს წეს-დებულება იწყობა იმ დროს, როცა სახელმწიფომ ყველაფერი თითონ მოიხვეჭა და საკუთარი მეურნეობაც მართა თავის სასარგებლოდ მოაწყო. იმ დროს, როგორც გვეცოდინება, მთელს ევროპაში ეგრედ წოდებულს ფისკალურს პოლიტიკას დიდი პატივი-ღირსება ჰქონდა, — სახელმწიფო სტილიობადა მხოლოდ ხაზინაში კი ბევრი ფული ყოფილიყო და ხალხს რა გაჭირებდაც უნდა დამართოდა, ამას არას დაგიდევდა. სწორედ ამ ნაირის პოლიტიკით იყო გატაცებული პეტრე დიდი, როცა მან ტყეების შესახებ გამოსცა თავისი სასტიკი კანონები. ჩვენში კი სულ სხვას ვხედავთ, — ფისკალურს პოლი-

რედ მოკვდა; ერთს მათგანს დანა ამოუღია და მარჯვენა ხელს ჩონჩხი დაუსერია — თუ ცოცხალია — განსტევა. გლეხები დატყვევნი არიან და საქმე გამოამძიებლის სელშია. ამბობენ, ვითომც ამ გალასულს ჯ. და გლეხებს ერთმანეთში დიდი მტრობა ქონათ ერთის ბატონს ნაკვეთის მიწის გულისთვის, რომელსედაც დღესაც წყარმთებს სასამართლოში საქმეა.

ნ ა რ კ ვ ე ე ბ ი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზეთი «Русский Курьер»-ში დაბეჭდილია ერთი საკუთრებად ბუნებრივად, რომელიც ჩვენს ქართველებს შეეხება. გაზეთი ურადღებებს აქცევს იმ გარემოებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთს გონების ნაწარმოებს, — დღესებს, ანდაზებს, არაუბეს და სხვათა — მის ისტორიის შესასწავლად. გამოჩენილი ისტორიკოსები: ნიბური, შვეცლერი, ნიტიჩი და ბევრი სხვანი დიდს ურადღებებს აქცევდნენ ხალხის ნაწარმოებს, როგორც საუკეთესო წყაროს რომელიმე ერთს ისტორიისათვის.

საქართველოს ისტორიისათვის, — ამბობს გაზეთი, რომელიც აქამდე სრულიად გამოკლებული არ არის, დიდს სამსახურს გაუწევდა შესწავლა ერთს გონების ნაწარმოებისა, რომლითაც ასე მდიდარია ქართველების სიტყვიერება. საშუალოდ სრული კრებული ერთს ნაწარმოებისა ქართველებს ჯერ არ აქვთ, გარდა რამდენიმე ლექსისა, რომელიც აქამდე ქართულ გაზეთებში და ჟურნალებში დაბეჭდილია. ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება ჰქონდეს შეიკრიბოს, დაიბეჭდოს და შეინახოს ყველი პოეტურის აზრის დაყოფი იმ ეროსა, რომელიც ბუნებრივად ასე მდიდარია პოეტურის ნიჭითა. ეს მოვალეობა უნდა იყოს, ჩვენის აზრითა, ტფილისის ისტორიის და არხეოლოგიის საზოგადოებამ, რომელმაც უნდა იზრუნ-

ტიკას ვერ ეზოვეულობთ. კიდევ ამიტომ თავისი ტყეები სახელმწიფომ ხალხს დაუთმო მოსახმარებლად. რუსეთის მართველობის დაარსების შემდეგ საქართველოში რუსული სატყეო წეს-დებულებაც შემოიღეს და აქამომდე ამ წეს-დებულებას ძველებური მიმართულება შერჩა. ესლაც იგი წეს-დებულება სახელმწიფო ტყეებს უტყერის, როგორც კვირთა საკუთრებას და ამბობს, რომ ტყეს ისე უნდა მოაუბროთ, როგორც კეთილი მეურნეობა ითხოვს (т. VIII, стр. 168). მაგრამ მკითხველი თითონაც ჰხედავს, რომ ამ გვარი მეურნეობა სრულებით სხვა იყო ჩვენში...

აქ, ე. ი. კანონისა და ხალხის სხვადასხვა შეხედულებაში უნდა მოიძებნოს უმთავრესი მიზეზი იმ მოვლენისა, რომ გლეხ-კაცობა თავისას არ იშლის და სატყეო წეს-დებულება კიდევ ასე სასტიკად სდგენის მას უგანონად ტყის ხმარებისათვის. წინადა ბატონ-ყმობის დროს, ამ მოვლენას ისეთი დიდი ძალა და მნიშვნელობა არა ჰქონდა, როგორც ესლა აქვს. მაშინ კმას შეეძლო თავისუფლად ეხმარა ბატონის ტყე და რადგანაც კვირთა პირებს თითქმის იმოდენი ტყეები ჰქონდათ, რომოდენიც ხაზინას (მაგ. ტფილისის გუბერნიამი სულ 1,104,000 დესიატინა ტყეა ხაზინის გამგებამაში მხო-

ვოს, რომ დაწერილით გამოკლებული იქნას ქართველების ძველის დროის ისტორია, ყოფა-ქცევა, ჩვეულება და ადამიანი. კარგი იქნებოდა, რომ ზაფხულში სოფელ-სოფელ აგროგებდნენ და იგლეგდნენ ლექსებს, ზვირ-გადმონაცემს, არაუბეს, შიორებს და სხვა ამ გვარს, ისე, მაგალითად, როგორც არხეოლოგიის საზოგადოების წევრი ივანე მენდელსონი ნაშრომს. თუ საქმეს ერთგულად შეუდგნენ, იმედა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ სრულს, ვრცელს და ძირფასს განმს შეიძენენ ქართველები და ეს განმი საქართველოს ისტორიის გამოკვლევას დიდს სამსახურს გაუწევს შემდგომისთვისა.

სრულიად ვეთანხმებით პატივცემულ გავითსა. ერთს გონებითს ნაწარმოებს დიდი მნიშვნელობა აქვს მის ისტორიის შესასწავლად. ერთს გონების ნაწარმოები სარგებ, რომელიმაც უტყერად დგროვლად იხატება ერთს სული, მისი შეხედულება მსოფლიოზე, მისი მიმართულება, მისი ცხოვრების იდეალი, მისი წადილი, — მისი ავი და ბარგი.

მ მისს სწორედ წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა რუსეთის მადიდ-ნიტიჩი მწერალი და დიდად-პატიოსანი და მტკიცე ხსიათის კაცი, ბ-ნი კაველინი. ქურნალ «Вестникъ Европы»-ში დაბეჭდილია ბ-ნი კაველინის ერთი წერილი. მოგვყავს ამ წერილიდან პატარა ადგილი, რომელიც ცხადად გვიმტკიცებს ბ-ნი კაველინის მადიდ-პატიოსნურ შეხედულებას ცხოვრებაზე. აი ეს ადგილი:

სიცოცხლე გაატარე მოქმედებითა, მუშაობითა, ნუ დაუფიქრებდი პიროვნულ, კვირთა საქმეს, თორემ გული გასვდებოდა. სიკვდილის შემდეგ დარჩება ქვეყნისთვის შენი მხოლოდ აზრი, საქმე, ნაშრომი, ნაღვაწი, ერთის სიტყვით ის, რაც კაცს შეუქმნია სხვის გონების, გულის და ზნეობისათვის. ეს არის მისი სახსოვარი, მისი ნაშთი. ამ კაცის სახელი თუნდ დაიწვეებას მიეცეს, საქმე მაინც უგდებოდ

ლოდ 519,900 დღს. «Юрид. ირ.» № 90), ამისათვის ხალხი და განსაკუთრებით გლეხობა იოლად მიდიოდა. მაგრამ ბატონ-ყმობის მოსაპობის შემდეგ გარემოება შეიცვალა: ტყე მთლად მებატონეებს აკუთვნეს... ეს კიდევ არაფერი. კვირთა ტყეები გამიჯნულნი არ არიან, ერთი და იგივე ტყე რამდენსამე სახლობას და პირს ეკუთვნის და თვითელი მათგანი კიდევ იმასა სტილიობს, რაც შეიძლება ბევრი ისარგებლოს... დასაფიქრებელი კიდევ ისაა, რომ თუმცა სატყეო წეს-დებულება დაწერილით განმარტებს, რა გზით და რომოდენი ჯარიმა უნდა გადახდეს დამნაშავეს კვირთა ტყეში შეშის თუ მასალის გამოტანისათვის, თუმცა იგი წესდებულება პირ-და-პირ ამბობს, რომ ეს ვალდასახადი ნიხრას (ტაქსას) არ უნდა აღმეტებოდეს (т. VIII стр. 583—592), მაგრამ ამას როდი რას დაგიდევნ. ისიც არ უნდა დაივიწყოთ, რომ ძნელია კანონის ასრულება იქ, სადაც საკუთრება განურკვეველი და განუსაზღვრელია, სადაც არაფერი იციან — ეის რა და რამდენი ეკუთვნის... ეს უნდა ითქვას კვირთა ტყეებზე და კიდევ ამიტომ გლეხობა მიმართავს ხოლმე სახელმწიფო ტყეებს, მაგრამ აქაც ჯეროვანს შეღავათს ვერაჰოვლობს. ამის მიზეზი, სხვათა შორის, ისაა, რომ სალბაში, ანუ სატყეო გარდასახადი უმრავლესობისათვის სამ-

დარჩება, თუნდ სრულებით აღმოიხვეწას სხენება იმ კაცისა, ვისგანაც ეს საქმე დაიხდა.

დიახ, ბევრი ვერ მოიპოვება ამისთანა გულ-წრფელი და პატიოსანი მოდგაწე, როგორც კაველინი, რომელიმაც ცხოვრებაში მტკიცედ გაატარა და საქმით დაამტკიცა ეს მადალი და დიდ-მნიშვნელოვანი სიტყვები: «მოქმედებაში, მუშაობაში გაატარე შენი სიცოცხლე».

უტხოვეთი

საბმრძნითი. კადუისის საინისტრო დღე-ნაკვლევი გამოდგა. მოთავება საბურნეთში დღეს ტრიკუმის მეფე, რომელიც დღესათვის პირველ-მინისტრობის დროს მოწინააღმდეგეთა დასის წინამძღოლი იყო. ტრიკუმისა სახლის კაბინეთის შედგენის უმაღლე გამოაცხადა, რომ ჯარი უნდა მოხდეს იყოს სამსჯურების დასაცვლად და თუ თავს დაესხენ და მის წინააღმდეგ ძალა მიიტანეს, ძალა ძალით უნდა უგუ-ქციოს. აქედან ცხადად ხსანს, რომ ასეთი საინისტრო თოფ-არდაის აურას ჯერ-ჯერობით სულაც არ ამბობს. ლოდინით გულ-გაწვრილებულმა ჯარმა კერ მოათმინა სასსლურებზე და შეეკანა ერთმანეთს. ტრიკუმის ამბობს, რომ რამე შეცდო-მით თუ მოხდა ეს ამბავი. და თუმცა პირდაპირ აწმუნებს საბურნეთს, შემოსევათ შეეკანა ჯარი ჯარსა და ჩვენ არაფერი მტრობა არ გვიდგეს გულში, მაგრამ ეს ვგონებთ იმ ფიცისა ტყვეს, რომლის ბოლოც კაცს ყოველთვის ავირ-გებს.

საფრანგეთიდან ათინაში მიდის თურმე გამოჩენილი ატიტატორი დერუელი, რათა ააღვლავოს საბურნეთის ერთი და ორი დაწვეების ოსმალეთთან. დერუელი დასაბრუნება საბურნეთს, რომ მადიმოა. როგორც მოგვხსენებთ, სახელმწიფო ტყეები ჩვენში, მაგ., ტფილისის გუბერნიამი, ექვს რიგობად (райды) არიან დაყოფილნი; ხის თუ შეშის, ან სხვა სატყეო მასალის ფასი თვითველს რიგობაში ანუხსულია; პირველ რიგობის ტყეში ხის მოჭრა უფრო ძვირია, მეორის რიგობისა ცოტა ნაკლები და სხ. გარდა ამისა ყველა გვარის ხეს თავისი საკუთარი ფასი სდევს. ნიხრში (ტაქსაში) მოხსენებულთა, რომოდენი სიგრძე და რავდენი გოჯი სისქე უნდა ჰქონდეს მოჭრილს ხეს; ეს ზომა საჭიროა სალბაშის ასაღებად. ამ სალბაშის რაოდენობა ხსანს შემდგენის მაგალითები: ასი მუხის სარი (კახურად ჰიგო) 1 საყ. სიგრძე და 1/2—1 გოჯი სისქე რომ მოსჭრა, ესტქვათ, კოლოტას სატყეო «დამაში» (თელავის მაზრაში) ოთხი მანათი უნდა გადაიხადო, რადგანაც კოლოტის ტყე პირველი რიგობისაა; ფიჩხი რომ მოსჭრა 1 კუბიკ, საყ. 12 მანათია. ესტქვათ ურბნელს გლეხს ურემი დასჭირდა და ურბის მასალა გორი-ჯვრის ტყეში გამოიტანა. ეს ტყე მეორე რიგობისაა. აი ურბის მასალა რავდენი დაუჯდება ურბნელს: ურბის თელის რცხილის ფერსოები 2 მან., მორგვი 25 კაბ., მუხის ღერძი 40 კაბ., წყვილი ხელნა 80 კაბ., უღელი 20 კაბ., დიდი კოფო 6 კაბ., პატარა 4 კაბ. გარდა

მულის შეიღობა სასოგადოების, სარჯით ფრანგებისაგან მეომართა რაზმს შეგადგენ და მკვდონისა შეეკვეთა.

საბურნეთის ძალიან უტყერებს საქმეს ის გარემოება, რომ მისი ნაწარმები დიდთა სასელმწიფოთა ხომალდებით არის შეტყერილი. ადამ-მცემობა ძალიან შესდგა და სახალი აუარებელია თურმე.

საფრანგეთი. რაც უფრო დრო გადის, უფრო ირეკა და იწვევს ევროპის საქმეები. საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთს მუქარას მუქარაზე უთვლიან. სიტყვიერ მუქარასაც არა სჯერდება და საქმით ამტკიცებენ, რომ გადწვევითი-ლან, ერთმანეთს უფროდ ვერ გადაჯერებოთ. ერთი ნემენდური გასეთი ძალიან გაუჯავრება სამსჯერო მინისტრის ბუფანსის სიტყვებს, რომელიც წარმოუთქმას ჯერ სენ-სირმა სამსჯერო სკოლის შევირდების მიმართ და მეტე მეგლის გურთისთვის დროს იმ მხედართა სასოგად, რომელნიც საფრანგეთისა და გერმანიის ომში დაიხსენენ. გასეთი ამბობს: ვოგვის მთის იქითვე ბატონებს ის უჩვენიათ, რომ ენას არ ასანსალებდნენ და ცოტა შეიმოკვლიან.

კვანში დიდი აუღ-მაუღი აუტქისა იმ გარემოებას, რომ ნემენდების მოგრობას გაუძლიერება ელსას-ლორანის მეცნიერებათა ჯარები, რადგან ამ უგანსკულს დროს საფრანგეთსა და გერმანიას შორის შუადი ძლიერდება. საფრანგეთიც თავის მხრით სამსჯერო რეფორმების ზრუნვაშია. ბუფანსი ამბობს ამ რეფორმების პრაქტიკი შეიტანოს დეპუტატთა მალატშია.

საფრანგეთი ამ ბოლოს დროს ძალიან სტდილობს დაუსალოვდეს და დაუმტებოდეს რუსეთს. არც ერთს ისეთს შემთხვევას არა ჰგონებს, რომ თუ გი შესამალებელია, მეგობრობა არ გაუწიოს და არ შეუთვალეს, ჩვენ რუსეთისკენ ვართ. ნემენდებს და აესტრელებს ეს ძალიან არ მოსწონთ. საფრანგეთი ტყუილად სტდილობს, გაცდებულებულია და განაწილებულია ყველასგანა და მაკ მდგო-

ამისა ჰალეები და სხვა წერილობანი მასალაც რომ ვიანვარიშოთ, სულ შესდგება 4 მან. 52 კაბ. თუ ურბის მასალის გარდა იმავე ურბნელმა სახრეც მოსჭრა, 2 კაბ. უნდა სხვა მისცეს, თუ ჩიბუნს ეწყობა და ჩიბუნის ტარი მოსჭრა, კიდევ 2 კაბ. ვალახდევინებენ... (იხ. «Такса на казенные лѣса тифлисской губернии» на 1885 г.). ამ ნიხრსა (ტაქსას) რომ ჩაუფიქრდეთ, ადვილად შეინიშნავთ, რომ იგი ბევრჯელ და ხშირად იგივეებს ადგილობრივს ვითარებას და მკვიდრთა საჭიროებას, თუმცა სატყეო წეს-დებულება პირ-და-პირ ამბობს, რომ ერთსაც და მეორესაც პატივი არ უნდა აკლდეთო. ჩვენის აზრით, არც მეორე ნიხრი («Такса на побочныя въ казенныхъ лѣсахъ тифлисской губернии пользования» на 1885 г.) აკმაყოფილებს ადგილობრივს საჭიროებას. მაგ., ერთი ფული სოკოს ან სატყურის მოკრფისათვის ექვსი მათური უნდა გადაიხადოთ, ამა და ამ სიგრძე-სიგანის საფლავის ქვა გორის სატყეო მაზრაში 50 კაბ. ღირს და ალაზნის ვალმა მხარეში 70 კაბ. და სხვა-და-სხვა? ყოველივე ეს აღწესდება ურბნელს: ურბის თელის რცხილის ფერსოები 2 მან., მორგვი 25 კაბ., მუხის ღერძი 40 კაბ., წყვილი ხელნა 80 კაბ., უღელი 20 კაბ., დიდი კოფო 6 კაბ., პატარა 4 კაბ. გარდა

ნ. ურბნელი (შემდეგი იქნება)

მარტობიდან აღვიდა ვერ გამოვა. ჩვე-
ნადა, ამოპენ ნემსები — გინდელა
შეკრებულად სავანეთისა, მაგრამ
იმან არ დაფასა ეს და უმადურად გვე-
ტყუა. ამიტომ ჩვენ იქ მივიქცით, სა-
ცა სავანის ზოლიტიკას ადგანან.

დეგემა

10 მაისს

ათონა. ტრანკუილმა სიჭკვა ზღა-
ტაში, რომ სამსჯღვრე ჯარები
ერთმანეთს შეეჯახნენ რადგან შეც-
დომის გამო. მამულეთის ხელ-
ნა გვანწყობებს, რომ ზორტას ანა-
ვითარი მტრული განსწავლა ანა
ჩქეს.

სტამბოლი. ზორტამ დატყვევდა
ცირკულარად და ამოხსნა, რომ სავან-
დარჯ ჯარები ერთმანეთს შეეჯახნენ
შემთხვევითად და ამ მასწავლათ, რომ
ბერძენთ თარეში სახსრებად იქცე-
დნენ. მამულთ მხედართ-მთავართ
ნამძახები აქვთ, წინანდებურად მსა-
ლად სამსჯღვრე დაიგვიანა.

11 მაისს

ნიკოლაივი. გუშინ დილით მათ
იმპერატორებით უდადებულესობათა
წინაშე წარდგინეს სხვა-და-სხვა დე-
პუტაციები, შემდეგ ჯარმა იქმნა უმა-
ღლესად დათვალა რეპუბლიკა. ზარდის
შემდეგ მათ იმპერატორებით უდა-
დებულესობათა ინახულეს სამხედრო
საგან-მეფეთ, მამულ-საგან-მეფეთ
მეფეთად ებანსენ; ინახულეს აგრე-
თვე აღქმნანდრეს გამწახა და მს-
რამის საქმეებზე გამწახა. მათ უდა-
დებულესობათ გზაზე დად-მალა ხალ-
ხი აღტაცებით მიეგება. მეფეთე სხა-
თი რომ დაიწყო, მათ უდადებულეს-
ობათა თანადანწრებით, დაიწვეს
აგება ერთის კრეაქციას და სამის
საკანონებო ნაგისა. მათს სხათზე
საერო საგანგებოდა თქმითა და ურას
მხალით, საკვირვლად მარჯვად და
დასურვალურად ჩაუშვეს წყალში
ჯავშინის ხომალდი „ეპატრინა II“.
ეს ხომალდი ზარდელი ჯავშინის ხო-
მალდა, რომელიც ნავთობზე იქმ-
ნა აგებული რუსების ხელისულების
მეფე და გაკეთებული რუსების მს-
ხალისაგან. 8 საათზედ სხასლეში
ხადილი იყო გამართული. ხადილად
მიწვევულნი იყვნენ: ადმირალი, უფ-
როსნი მხელენი, თავად-ანახურთ
წინამძღვრნი და ქალაქის თავნი ნი-
კოლაივისა და დევისანისა, 12 1/2 სა-
თზედ მათი უდადებულესობანი წაბ-
რმანდნენ ნავთობქვიდან.

დედს უმადლესად ებამათ: გამგე-
ბულს ზღვართა სამხანტროსს აღმა-
წის ნიშანი აღქმნანდრე ნეკელისა
და უფროსს კომანდირს ფლოტისს
და შავ-სღვინს და კანზის ზღვის
ნავთ-სადგურებისს — ნიშანი თეთრი-
სა ანწივისს.

პარიში. დან-კარლსმა გამაგ-
ნადა, რომ წინამძღვრე ვან აღ-
ტონს 13 ადარებისს ანანის კო-
რდალდა და თან დაუმატა, რომ
თავის დედას ხელს არ ავიღებ და
არ გიტყვო, ანანის ტანტი მე არ
მეკუთვინა.

ლისაბონი. გუშინ დაიწერეს
ჯარა მიმდებარე ზარდელა ზორტუ-
ტალიანს და ზარდელსამ აქელა
ორღვინისამ.

საკალმენდარო სომხანი

ქრისტეს აქედ ჩუგ (1886) წელიწადი.
ქვეყნის შექმნილამ 7394.
ქველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი — უოზ=478
წელი. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი — მ=42 წე-
ლიწადი. დაიწყო 1844 წ. და თავდება
2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.
ამალღება — 22 მაისს, სეკსი-
წმინდის მოსვლა — 1 ივნისს, ამავე თვის
9-დამ იწყობა ჰეტრე-ვაკლოპის
მარგვა. ეს მარგვა 1886 წელს 2 კვირით
და 6 დღით არის.

მაისი 31 დღით არის

13 დღე სამშაბათი წმ. ქალწულ
მოწამე გლიცერია; ღირსისა ევთიმე ათო-
ნელისა, რომელიც ქართულად სთარგმნა
სამღუთო წერილი. კათ. სერგეისა ეპისკ.
მუსულმ. 22 დღე თვისა შაბან 1303
წელ. ჰიდრისა. ქვეშარიტი შუა-დღე 11—
56—40. ტფილისში მზე ამოდის 4—32;
ჩადის 7—22. მოვარე ამოდის 12—21 წლ.
ჩადის 10—39. მოვარე 23 დღისა არის.

14 დღე ოთხშაბათი წმ. მოწამე
ისიდორე და მესიმესი, შობამ. უმაღ. მარია
პავლოვისა, კათოლ. წმ. იოანესი, ბონიფა-
ციისა. ბოლო წარისნი მოვარისა. ქვეშარი-
ტი შუა-დღე 11—56—46 ტფილისში მზე
ამოდის 4—31. ჩადის 7—23. მოვარე
ამოდის 12—53 წლ. ჩადის 11—41.

15 დღე ხუთშაბათი ღირსისა პა-
ქსიმია დიდისა, დაგვირგვინდება ხელმოწევი
იმპერატორისა და ხელმოწევი იმპერატრიცი-
სა. კათ. სოფიისა, პლატონისა და ცეცი-
ლიისა. ქვეშარიტი შუა-დღე 11—56—53.
ტფილისში მზე ამოდის 4—30; ჩადის
7—24. მოვარე ამოდის 1—23 წლ. ჩადის
0—46.

16 დღე შარაკევი. ღირსისა თე-
ოდორესი. კათ. იოანესი და რიგინისი. ქე-
შარიტი შუა-დღე 11—57—0. ტფილისში
მზე ამოდის 4—29; ჩადის 7—25; მოვარე
ამოდის 1—51 წლ. ჩადის 1—39.

17 დღე შაბათი წმინდა მოციქულის
ანდრონიკესი, სტეფანესი. კათ. პასხალისა
და ვერონიკისა. ქვეშარიტი შუა-დღე 11—57
—8. ტფილისში მზე ამოდის 4—29; ჩა-
დის 7—26. მოვარე ამოდის 2—14 წლ.
ჩადის 2—41.

18 დღე კვირა. წმ. მოწამე თეო-
დოტე ანკურელისა, წმ. ალექსანდრესი და
7 ქალწულთა, წმ. დავითისა და მისა მი-
სისა ტარიჩანისი. კათ. ერიკისი.

გენ. ლეიტ. კნორინგმა ტფილისში შეკ-
რიბა პირველი წოდებათა კაცი ქართველთ
ერისანი და სოფელნი მამასხლისნი და
ნებისამებრ იმპერატორის ალექსანდრე 1-სა
გამოეცნადა: თავით ნებით და ერთ-ხმად
მიიღეს თუ არა სამუდამოდ ქვეშარდობა
რუსეთისა? 1801 წელს.

ქვეშარიტი შუა-დღე 11—57—16. ტფი-
ლისში მზე ამოდის 4—28; ჩადის 7—27.
მოვარე ამოდის 2—54 წლ. ჩადის 3—41.

19 დღე ორშაბათი. მოწ. პატრი-
კისა. კათ. ჰეტრე ცელსტინისა.
დარეჯან დედოფლის რევივა და გუ-
ლენით ქართლი გაუფილ იქმნა პატონის-
შვილთა შორის 1793 წ. ქვეშარიტი შუა-
დღე 11—57—24. ტფილისში მზე ამოდის
4—28; ჩადის 7—28. მოვარე ამოდის
3—28 წლ. ჩადის 4—44.

მ ა შ ა ნ დ ა .

გამოსაღებო ცნობანი.

1 მაისიდან 1-ლ ივნისამდე.
ადგილობრ. შური 1-ლის სარისისა. 5 კ.
„ „ 2 „ „ 2 1/2 „
ჯვარის მამის შური თანისა და ღვკაში
1-ლის სარისისა 4 1/2 „
მე-2 სარისისა 3 1/2 „
მე-3 — 3 „
ძრისის ხორცა 1-ლის სარისისა. 8 „
„ 2 — 7 „
ჩაღვლაჟი და ცალკე ამოტრიალი
სუკი 14 „
ცხვრის ხორცა 9 „

მიმოსვლა რეინის გზისს.

ტფილისიდან გადის ბათუმს 8 ს. ჯ 35 წ. დ.
ბათუმიდან მოდის — 10 ს. ჯ 25 წ. დ.
ბაქოში მიდის — 10 ს. ჯ 45 წ. დ.
ბაქოდან მოდის — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდან გადის 3 ს. ჯ 19 წ. დ.
სურამიდან ტფ. შემოდის 8 ს. ჯ 24 წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა

თბილისსა და კაკავ შუა.

ზარ-დ-ზარ მხელელნი დამით დაუ-

დგომლად.
ტფილისიდან გადის — 4 ს. ნაშუადღევს
კაკავში შედის — 5 ს. 15 წ.
კაკავიდან გამოდის — 4 ს. 7 წ.
ტფილისში მიდის — 5 ს. 6 წ. 6—31

დასე დგომით:

ტფილისიდან გადის 8 ს. დილით.
კაკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.
კაკავიდან გამოდის 9 ს. დილით.
ტფილისში შემოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს

ზღვაზედ.
ბათუმიდან გადის: ოთხშაბათობით 4
ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარ-
ტო ნავთობისა და კერში შეიკვლის.
შარის გზით შაბათობით 8 საათ. სა-
დამოზე (ქველა ნავთ-სადგურებში შეიკ-
ვლის).

კვირბობით საღამომთა სტამბოლამდ-
მიდის.
ბათუმიში მოდის ოდესიდან: სამშაბ-
ათობით შუა-დამეს შარის გზით მოკლეს
გზით — დილით.

შაბათობით სტამბოლიდან მოდის დი-
ლით.

განსხვავებანი

„ქართველთა შორის წერა-კით-
ხვის გამავრცელებელის საზოგა-
დობის“ წევრთა წლიური კრება
არის დანიშნული 25 მაისს, დი-
ლის 12 საათზე, სათავად-ანხაუ-
რო ბანკის დარბაზში ა) მოსამე-
ნად საზოგადოების ანგარიშისა
188 5/6 წლისა, ბ) მისაღებად ან-
ლად შემოკრავად წევრთა და გ)
დასამტკიცებლად სავარაუდო ხარ-
ჯისა 188 5/7 საანგარიშო წლისა.
(5—1)

დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, მე-
სახვედრ გარდასახდთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მე-
პატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე-19 §-სა შეავსებენ ბანკის
გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყო მამულნი მოკვანილის თავისი ფულიდან ზედ
დამატებით სხვა-და-სხვა შეუსებელის გარდასახადისა, მამულის გა-
სასყიდვად დანიშნავზე ხარჯებისა და საზოგადოდ, ყველა იმ ფუ-
ლისა, რომელიც ბანკს თავისი მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს;
ბანკის ხანგრძლივი ვალის თავისი მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის
გირაოს ფურცლებით, რომელიც მიიღებინ სახელდობრის ფა-
ლისა-მებრ მანათი მანათად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ
მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და სხვა გვარი ბანკის სა-
ხვედრო ფული უნდა შემოტანილ იქმნენ ნადავად.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურსთ, მათ შეუძლი-
ანთ გასასყიდვით მამულთა აღწერილობის და საბუთების განხილვა
ბანკის სამმართველოში.

თუ ეს ვაჭრობა არ შესდგა, მაშინ, ბანკის წესდების 23 § სა-
ფუძველით, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 28 ივნისს
1886 წლისა.

18712 წლიანნი სესხნი

ქ. ტფილისში.

შადინოვისა, ალექსანდრე ივანეს ძის: I განყოფილებაში. IV ნა-
წილში, განოვის ქუჩაზე ორი ქეთიკირის სახლი — ერთი ოთხ-სართულია-
ნი, ხოლო მეორე ორ-სართულიანი და მიწა, 236 კვადრ. საყ.; თავნი
ვალი 35,042 მან. და 46 კაბ., შესავ. გადასახადი 3,746 მან. 74 კაბ. — სულ
38,789 მან. 20 კაბ.

მემკვიდრეთა შადინოვისა, მიხაილ ივანეს ძის: I განყოფილებაში,
IV ნაწილში, ველიამინოვის ქუჩაზე ორი ქეთიკირის ორ-სართულიანი
სახლი და მიწა, 236 კვ. საყ.; თავნი ვალი 15,742 მან. 51 კაბ., შესავ.
გადასახ. 1066 მან. 58 კაბ. — სულ 16,809 მან. 09 კაბ.

მირზოვეისა, ბარბაღე მიხაილის ასულის: I განყოფილებაში III ნა-
წილში, გოლოვინის პროსპექტზე სამ-სართულიანი ქეთიკირის სახლი, დუ-
ქნები და მიწა, 138 კვადრ. საყ., თავნი ვალი 47,198 მან. 35 კაბ., შე-
სავ. გარდასახ. 4954 მან. 39 კაბ. — სულ 52,152 მან. 74 კაბ.

კონაროვისა, ანტონ კარაბეგის ძის: I განყოფილებაში, V ნაწილ-
ში, საზოგადო ქუჩაზე ორ-სართულიანი ქეთიკირის სახლი სარდაფით და
მიწა, 103 კვადრ. საყ., თავნი ვალი 8280 მან. 48 კაბ., შესავ. გადას.
536 მან. 58 კაბ. — სულ 8817 მან. 06 კაბ.

მირიანოვისა, ივანე მიხაილის ძის. II განყოფილებაში, VIII ნაწილ-
ში, ჩულურეთში ორ-სართულიანი ქეთიკირის სახლი სარდაფით და მიწა,
149 კვადრ. საყ., თავნი ვალი 11,592 მან. 65 კაბ., შესავ. გარდას. 1375
მან. 10 კაბ. — სულ 12,967 მან. 75 კაბ.

კონოლოვისა, იოსებ ვლასის ძის: II განყოფილებაში, პანასევიჩის
და ნიკოლოზის ქუჩაზე ორი ქეთიკირის ორ-სართულიანი სახლები და
მიწა, 360 კვადრ. საყ., თავნი ვალი 14,409 მან. 40 კაბ., შესავ. გადას.
1352 მან. 40 კაბ. — სულ 15,761 მან. 80 კაბ.

ბიჩიკოვისა, სალომე ტატოს ასულის: I განყოფილებაში, I ნაწილ-
ში, დავითის ერლოზე ორ-სართულიანი ქეთიკირის სახლი და მიწა, 83
კვადრ. საყ., თავნი ვალი 3466 მან. და 47 კ., შეს. გარ. 344 მ. და
94 კ. — სულ 3811 მ. და 41 კ.

ოძელოვისა, ნინო ივანეს ასულის: 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში,
ოლგას ქუჩაზე სამ-სართულიანი ქეთიკირის სახლი და მიწა, 200 კვადრ.
საყ., თავნი ვალი 9532 მ. და 76 კ., შეს. გარ. 871 მ. და 54 კ. —
სულ 10404 მან. 30 კაბ.

თბილისის გუბერნიისა და მისივე მხრისა.

43 1/2 წლიანნი სესხნი.

მადალოვისა, დავით იოსების ძის: თელოვანის ავარში სახნავ-სა-
თესი, საძოვარი და ტყე, 141 დესიატ. 1720 კვადრ. საყ., თავნი ვალი
1935 მან. და 99 კაბ., შესავ. გადასახ. 155 მან. და 22 კაბ. — სულ
2091 მან. და 21 კაბ.

მადალოვისა, სოფიო იოსების ასულის: თელოვანის ავარში სახნავ-
სათესი, საძოვარი და ტყე, 153 დესიატ. 440 კვადრ. საყ., თავნი ვალი
2913 მან. და 98 კაბ., შესავ. გადასახ. 223 მან. და 27 კაბ. — სულ
3137 მან. და 25 კაბ.

გორის მხრისა.

ერისთავისა, გრიგოლ პავლეს ძის: ნიგოზის ავარში სახნავ-სათესი,
ტყე და საძოვარი, 452 დეს. 60 კვადრ. საყ.; თავნი ვალი 7743 მან.
და 76 კაბ., შეს. გარ. 67 კაბ. — სულ 7862 მან. და 43 კაბ.,

(3—1)

ქუთაისის თავად-ანხაურთ საად- გილ-გაეულო განკის გაგებობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 18 § ძა-
ლით, 14 ივნისს ამა 1886 წლისა ქ. თბილისს, თბილისის თავად-ანხა-
ურთ საადგილ-მამულთა ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო
ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ქუთაისის საადგილ-მამულთა ბანკში